

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 10

## სისხლის სამართლის პროცესი

1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება
2. განაჩენის გაუქმება კანონის არასწორი გამოყენების გამო
3. მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე
4. განსჯადობა
5. ნივთიერი მტიცებულება
6. დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა
7. გირაო
8. ყადაღა
9. ექსპერტიზის ობიექტი
10. სააპელაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

**1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება**

**განჩინება**

#777-აპ-10

10 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ლ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენით დ. თ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 27 ივლისიდან.

განაჩენით დ. თ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. თ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 3,0786 გრამი ნარკოტიკული საშუალება - ჰეროინი, რაც 2009 წლის 27 ივლისს, დაახლოებით 18:55 საათზე, თბილისში, დ. თ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას მისგან ამოიღეს საქართველოს შსს სოდ-ის თანამშრომლებმა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ლ-მ, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენის გაუქმება და დ. თ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ლ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან საჩივარში აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. იგი გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო ნორმების დარღვევით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეამოწმა მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ლ-ს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განაჩენი დ. თ-ს მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დ. თ-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით, ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლომ გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 567-568-ე მუხლებით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ დ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ლ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განაჩენი დ. თ-ს მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება**

**განჩინება**

#982-აპ-10

9 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ფ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების - გ. პ-სა და ზ. ფ-ს, მსჯავრდებულ კ. წ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ა-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ივნისის განაჩენით:

კ. წ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 339<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილზე.

კ. წ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 11 თებერვლიდან.

ი. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 11 თებერვლიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - ი. ფ-სა და კ. წ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 19 ოქტომბრის #... ბრძანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ი. ფ-ი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, 2009 წლის 2 ოქტომბერს გამოძიებამ დაინიშნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი მთვარის“ შემოწმებელი რევიზია. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის 2009 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით დაინიშნა შპს „ახალი მთვარის“ საქმიანობის საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება. შესამოწმებელმა პერიოდმა მოიცვა 2007-2008 წლები. შემოწმების ჩატარება დაევალით აუდიტის დეპარტამენტის საკონტროლო შემოწმების მთავარი სამმართველოს ცენტრალური სამმართველოს მთავარ ინსპექტორ ლ. ჭ-ს (ჯგუფის უფროსი) და ინსპექტორებს - ზ. ი-სა და ჯ. ჯ-ს. შპს „ახალი მთვარის“ შემოწმების მიმდინარეობის თაობაზე შემოწმებლები ადგენდნენ დარიცხვის ცხრილებს, რომლებიც წარედგინებოდა აუდიტის დეპარტამენტის საკონტროლო შემოწმების მთავარი სამმართველოს უფროსს - მ. ლ-ს და საკითხები იხილებოდა მიმდინარე თათბირებზე როგორც სამმართველოს, ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან. შემოწმებელთა მიერ გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე შპს „ახალ მთვარეზე“ სავარაუდოდ დასარიცხმა თანხამ შეადგინა 250 000 ლარი, რის თაობაზეც ინფორმაცია ხელმძღვანელობას წარუდგინა ჯგუფის უფროსმა ლ. ჭ-მ. აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ი. ფ-ი, პირადი მოსაზრების გამო, არ დაეთანხმა დასარიცხი თანხის მითითებულ ოდენობას, ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისგან - იურიდიული პირისაგან - გამორჩენის მიღების მიზნით, აუდიტის დეპარტამენტის საკონტროლო შემოწმების მთავარი სამმართველოს ცენტრალური სამმართველოს უფროს მ. ლ-ს უკანონოდ დაავალა აქტივში საქვეანგარიშოდ გატანილ თანხებზე არ დაერიცხათ სარგებელი, რამაც, თავის მხრივ, ასახვა ჰპოვა 2009 წლის 27 ნოემბრის საგადასახადო შემოწმების აქტში, რომლის მიხედვითაც, შპს „ახალ მთვარეს“ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა შემცირებული თანხა - 152 872 ლარი. ი. ფ-ს მიერ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად, შპს „ახალ მთვარეზე“ დასარიცხი თანხა შემცირდა 91 207 ლარით, რითაც არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, 2009 წლის 2 ოქტომბერს გამოძიებამ დაინიშნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი მთვარის“ რევიზია. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის 2009 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით დაინიშნა შპს „ახალი მთვარის“ საქმიანობის საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება. შესამოწმებელმა პერიოდმა მოიცვა 2007-2008 წლები. შემოწმების ჩატარება დაევალით აუდიტის დეპარტამენტის საკონტროლო შემოწმების მთავარი სამმართველოს ცენტრალური სამმართველოს მთავარ ინსპექტორ ლ. ჭ-ს (ჯგუფის უფროსი) და ინსპექტორებს - ზ. ი-სა და ჯ. ჯ-ს.

შემოწმების მიმდინარეობისას შპს „ახალი მთვარის“ დირექტორის - რ. დ-სათვის ცნობილი გახდა, რომ კომპანიის ცალკეული თანამშრომლების საქვეანგარიშოდ გატანილ თანხებს სარევიზიო ჯგუფი მიიჩნევდა როგორც მიღებულ სარგებელს, რომელიც ექვემდებარებოდა ბიუჯეტის სასარგებლოდ დაბეგვრას და საბოლოოდ, აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ახალ მთვარეს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 250 000 ლარი. რ. დ-მ უკმაყოფილება გამოთქვა ამ თანხის მოსალოდნელ დარიცხვასთან დაკავშირებით და ამის შესახებ განუცხადა სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელ ლ. ჭ-ს. ეს უკანასკნელი დაჰპირდა მას, რომ აღნიშნულზე მის მოსაზრებას შეატყობინებდა ხელმძღვანელობას, თუმცა, ამავე დროს განუმარტა, რომ, შემოწმებელთა აზრით, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მათი პოზიცია კანონიერი იყო. ამ საუბრის შემდეგ, რევიზიის მიმდინარეობის პერიოდში, რ. დ-ე ვაკის საცურაო აუზზე შეხვდა თავის მეგობარ კ. წ-ს, რომელსაც უთხრა, რომ მის ფორმას აუდიტის დეპარტამენტის სარევიზიო ჯგუფი ამოწმებდა და აპირებდნენ ფორმისთვის საკმაოდ დიდი თანხის დარიცხვას. კ. წ-ა დაჰპირდა, რომ რევიზიის დასრულებამდე გაერკვეოდა საქმის ვითარებაში. ამ საუბრიდან რამდენიმე დღეში, რევიზიის აქტის დაწერამდე ერთი კვირით ადრე, სარევიზიო ჯგუფის წევრებმა ხსენებულ სადავო საკითხთან დაკავშირებით პოზიცია შეცვლეს, კერძოდ: მათი ზეპირი განცხადებით, სადავო დარიცხვასთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო აქტის გარკვეულწილად კორექტირება და დასარიცხი თანხის შემცირება. სარევიზიო ჯგუფის პოზიციის შეცვლასთან დაკავშირებით რ. დ-მ შეატყობინა კ. წ-ს და დაინტერესდა, ხომ არ იყო ეს მისი დამსახურება. კ. წ-მ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და მიუხედავად იმისა, რომ მას სამსახურებრივად არანაირი შეხება არ ჰქონდა შემოსავლების სამსახურ-

რის აუდიტის დეპარტამენტთან, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა დიდი ოდენობით რ. დ-ს ნივთს - თანხას, კერძოდ, მან რ. დ-ს განუცხადა, რომ იგი სრულად აკონტროლებდა რევიზიის მიმდინარეობას, თუმცა, ფირმაზე დასარიცხი თანხის შემცირებას დასჭირდებოდა "გარკვეული პატივისცემა" და დახმარებისა და ზეგავლენის მოხდენის სანაცვლოდ რ. დ-ს მოსთხოვა თანხა, დაახლოებით 30 000 ლარის ფარგლებში, რის სანაცვლოდაც დასარიცხი თანხა 250 000 ლარიდან შემცირდებოდა 152 000 ლარამდე. რ. დ-ე შემოთავაზებულ წინადადებას დასთანხმდა იმ პირობით, რომ ამ თანხას მიიღებდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოწმების აქტში საბოლოოდ დაფიქსირდებოდა შემცირებული თანხა. მას შემდეგ, რაც სარევიზიო ჯგუფმა დაასრულა შემოწმების აქტზე მუშაობა, შპს „ახალ მთვარეს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და გადასახდელად დაეკისრა 152 872 ლარი. რ. დ-მ, შეთანხმებისამებრ, კ. წ-ს თავდაპირველად გადასცა 17 000 ლარის ეკვივალენტი 10 000 აშშ დოლარი, ხოლო რამდენიმე დღეში - 13 000 ლარი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

კ. წ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 339<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილზე.

კ. წ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 11 თებერვლიდან.

ი. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 11 თებერვლიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

მსჯავრდებულ ი. ფ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები - გ. პ-ი და ზ. ფ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის, როგორც უკანონოსა და დაუსაბუთებლის, გაუქმებასა და ი. ფ-ს გამართლებას შემდეგი საფუძვლით: ა) ბრალდების მხარემ ვერ მიუთითა კანონსა და სხვა რაიმე ნორმატიულ აქტზე, რომელიც, მათი მტკიცებით, დაარღვია ი. ფ-მ, რის გამოც მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტი დადგენილი არ არის და წარმოადგენს გამომიების დაუსაბუთებელ ვარაუდს; ბ) სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ თავიდანვე დეპარტამენტის უფროსი ი. ფ-ი არ ეთანხმებოდა დარიცხვის ასეთ წესს, რაზედაც ისინი მსჯელობდნენ თათბირებზე; ამ საკითხზე არაერთგზის უმსჯელიათ დავების საბჭოზე. ამ შემთხვევაში ი. ფ-ი მოქმედებდა არა ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, არამედ - მას ასე მიაჩნდა, რაზედაც მიუთითებს ბრალდების ფორმულირებაში თვით ბრალდების მხარე; გ) ბრალდების მხარის ვარაუდი, რომ თითქოს ი. ფ-ი მოქმედებდა შპს-ს ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის გამორჩენის მისაღებად, აბსურდული და გამორიცხულია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის საერთოდ არ იცნობდა შპს "ახალი მთვარის" დირექტორს და განზრახ ვერ იმოქმედებდა მის სასარგებლოდ; დ) ის, რომ ბრალის დადგენილება დაუსაბუთებელ ვარაუდს ეფუძნება, ნათლად ჩანს იქიდან, რომ მასში მითითებულია დასარიცხი და შემცირებული თანხის სავარაუდო ოდენობა და არა - ზუსტი ციფრები; საქმეზე არ არის ჩატარებული შესაბამისი ექსპერტიზა.

კასატორების აზრით, გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, თუ რატომ იხილებოდა ერთობლივად კ. წ-სა და ი. ფ-ს ბრალდების საქმეები მაშინ, როდესაც საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მათი ბრალეულობები არანაირად, ირიბადაც კი არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ამას არც ბრალდების მხარე უარყოფს.

მსჯავრდებულ კ. წ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ა-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და კ. წ-ს გამართლებას იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც, სსკ-ის 132-ე მუხლის შესაბამისად, ჩაითვლებოდა მტკიცებულებათა ერთობლიობად პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნის გამოტანისათვის; ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო იყენებს კ. წ-ს დამნაშავედ ცნობისათვის, არის მოწმე რ. დ-ს ჩვენება, რომელიც ამავდროულად არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, ვინაიდან იგი არათანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგოა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლო-ებმა უგულებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე კოდექსის 535-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების - ი. ფ-სა და კ. წ-ს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ზემოხსენებული ნორმების მოთხოვნები, განაჩენში მითითებული სასამართლოს დასკვნები არ არის დასაბუთებული.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა - ი. ფ-მ და კ. წ-მ და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - გ. კ-მ და დ. ა-მ. მსჯავრდებული კ. წ-ა და მისი ადვოკატი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ საფუძველზე, რომ, მათი აზრით, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვებოდა საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც, სსსკ-ის 132-ე მუხლის შესაბამისად, ჩათვლებოდა მტკიცებულებათა ერთობლიობად პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნის გამოტანისათვის. ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო იყენებს კ. წ-ს დამნაშავედ ცნობისათვის, არის მოწმე რ. დ-ს ჩვენება, რომელიც ამავდროულად არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, ვინაიდან იგი არათანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგაა. მსჯავრდებული ი. ფ-ი და მისი ადვოკატი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას. აპელანტები მიუთითებდნენ, რომ: ა) ბრალდების მხარემ ვერ მიუთითა კანონსა და სხვა რაიმე ნორმატიულ აქტზე, რომელიც, მათი მტკიცებით, დაარღვია ი. ფ-მ, რის გამოც მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტი დადგინილი არ არის და წარმოადგენს გამოძიების დაუსაბუთებელ ვარაუდს; ბ) სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ თავიდანვე დეპარტამენტის უფროსი ი. ფ-ი არ ეთანხმებოდა თანხის დარიცხვის ასეთ წესს, რაზედაც ისინი მსჯელობდნენ თათბირებზე; ამ საკითხზე არაერთგზის უმსჯელიათ დავების საბჭოზე. ამ შემთხვევაშიც ი. ფ-ი მოქმედებდა არა ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, არამედ - მას ასე მიაჩნდა, რაზედაც მიუთითებს ბრალდების ფორმულირებაში თვით ბრალდების მხარე; გ) ბრალდების მხარის ვარაუდი, რომ თითქოს ი. ფ-ი მოქმედებდა შპს-ს ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის გამორჩენის მისაღებად, აბსურდული და გამორიცხულია იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ ის საერთოდ არ იცნობდა შპს "ახალი მთვარის" დირექტორს და განზრახ ვერ იმოქმედებდა მის სასარგებლოდ; დ) ის, რომ ბრალის დადგენილება დაუსაბუთებელ ვარაუდს ეფუძნება, ნათლად ჩანს იქიდან, რომ მასში მითითებულია დასარიცხი და შემცირებული თანხის სავარაუდო ოდენობა და არა - ზუსტი ციფრები; საქმეზე არ არის ჩატარებული შესაბამისი ექსპერტიზა. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, თუ რატომ იხილებოდა ერთობლივად კ. წ-სა და ი. ფ-ს ბრალდების საქმეები მაშინ, როდესაც საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მათი ბრალეულობები არანაირად, ირიბადაც კი არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ამას არც ბრალდების მხარე უარყოფს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულების ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებულია მხოლოდ მტკიცებულებების ჩამონათვალი და პასუხი დასაბუთებულად არ არის გაცემული სააპელაციო საჩივარში მითითებული განაჩენის გასაჩივრებულ დებულებებზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული დარღვევა არის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, რადგან მოცემულ შემთხვევაში შეიზღუდა პროცესის მონაწილის უფლება კანონიერი, საფუძველიანი და სამართლიანი განაჩენის დადგომაზე, რაც წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის როგორც აღწერილობით, ისე სამოტივაციო და საჩივრით ნაწილებში მითითებულია, რომ განხილულ იქნა და არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულების - ი. ფ-სა და კ. წ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განაჩენი

ი. ფ-სა და კ. წ-ს მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით ხელახალი სასამართლო განხილვის დროს კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლევულ იქნეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულების - ი. ფ-სა და კ. წ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. განაჩენის გაუქმება კანონის არასწორი გამოყენების გამო**

### **განჩინება**

#611-აპ-10

27 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ პ. ბ-ისა და დაზარალებულ ნ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 3 მაისის განაჩენზე შ. ლ-ის, ი. ს-ის, ე. ქ-ის მიმართ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბრალდებო დასკვნის შესაბამისად, ი. ს-ეს; ე. ქ-ეს და შ. ლ-ეს ბრალი ედებოდათ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ შ. ლ-ემ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. დიდი ოდენობით სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, ასევე - ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნა-გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო ი. ს-ესა და ე. ქ-ეს ბრალი დაედოთ იმაში, რომ დაამზადეს და გაასაღეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტები, რამაც, ბრალდების ორ ეპიზოდში, მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ყოველივე კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2004 წელს შ. ლ-ემ თ. მ-ვ-ისაგან 500 აშშ დოლარად იგირავა ქ. რუსთავში, მე-20 მ\რ-ნის # კორპუსის #-ში მდებარე ნ. მ-ის კუთვნილი ბინა, რომელიც დროებით სარგებლობაში ჰქონდა ზ. მ-ს. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ შ. ლ-ემ განიზრახა, ესარგებლა და თაღლითურად გაეყიდა აღნიშნული საცხოვრებელი ფართი. მან მოძებნა თავისი მეგობარი დ. ფ-ი, რომელიც დაარწმუნა, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე ნაყიდი ჰქონდა ბინა, რომელიც, საბუთების მიხედვით, ეკუთვნოდა რუსეთში მყოფ ნ. მ-ს. რადგან ბინის გასაყიდად საჭირო იყო მინდობილობა, ამიტომ იგი ვერ ახერხებდა მის გაფორმებასა და გაყიდვას. დ. ფ-მა აღუთქვა დახმარება, რაც განახორციელა და 400 აშშ დოლარად ი. ს-ისაგან შეუძინა ე. ქ-ის მიერ დამზადებული, ვითომდა ნ. მ-ის სახელზე შედგენილი ყალბი მინდობილობა, რომლითაც შ. ლ-ემ მოტყუებით მიიღო ქონებრივი უფლება ზემოთ მითითებულ ბინაზე და 2007 წლის 25 აპრილს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იგი 3300 აშშ

დოლარად მიჰყიდა დ. ფ-ს. აღნიშნულით ნ. მ-ს მიაღება 38000 ლარის დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში შ. ლ-ის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, ხოლო ი. ს-ისა და ე. ქ-ის ქმედებები - 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით;

2007 წლის ივნისში დ. ს-ა დაუკავშირდა ი. ს-ეს და სთხოვა, მისთვის დაემზადებინა ყალბი დოკუმენტი - მინდობილობა უძრავ ქონებაზე მართვისა და განკარგვის უფლების გადაცემის შესახებ, რომლის თანახმადაც, ის უფლებამოსილი იქნებოდა, ემართა და განეკარგა, ეყიდა და გაეყიდა, დაეგირავებინა, გაეჩუქებინა, თავისი შეხედულებისამებრ დაეტვირთა იპოთეკით მამის - რ. ს-ას მამიდის, 2005 წელს გარდაცვლილი ე. ს-ას ქონება - ერთთახიანი ბინა, მდებარე რუსთავში, ფ-ის ქ. #-ში. ი. ს-ე დასთანხმდა და ყალბი დოკუმენტის დამზადებაში მოითხოვა 300 აშშ დოლარი. იგი, თავის მხრივ, 2007 წლის ივლისში დანაშაულებრივად დაუკავშირდა ნაცნობს - ე. ქ-ეს და შესთავაზა, გარკვეული თანხის საფასურად ყალბი სანოტარო აქტის - უძრავ ქონებაზე მართვისა და განკარგვის უფლების გადაცემის შესახებ მინდობილობის დამზადება, რითიც შესაძლებელი იქნებოდა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურიდან საკუთრების დამადასტურებელი სათანადო ამონაწერის მიღება. ე. ქ-ემ და ი. ს-ემ დაამზადეს 2006 წლის 30 მაისით დათარიღებული ყალბი სანოტარო აქტი #1-1275 დ. ს-აზე უძრავი ქონების - საცხოვრებელი ბინის მართვისა და განკარგვის უფლებით მინდობილობით გადაცემის შესახებ, დამოწმებული ნოტარიუს თ. ჯ-ის ყალბი ბეჭდითა და ხელმოწერით. სანოტარო აქტში ე. ქ-ემ და ი. ს-ემ შეიტანეს ყალბი მონაცემები, თითქოსდა რუსთავში, ფ-ის ქ. #-ში მცხოვრებმა ე. ს-ამ, რომელიც 2005 წელს გარდაიცვალა, თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ზემოაღნიშნული ბინა) 2006 წლის 30 მაისს მინდობილობით გადასცა შვილიშვილს - დ. ს-ას. ამ ყალბი სანოტარო აქტის მიღების შემდეგ დ. ს-ამ 2007 წლის ივლისში იგი წარადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში და თანამშრომლების შეცდომაში შეყვანის გზით საჯარო რეესტრიდან მიიღო ე. ს-ას სახელზე საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი უძრავი ქონების შესახებ. 2007 წლის 18 ივლისს დ. ს-ამ ყალბი სანოტარო აქტის გამოყენებით მითითებული უძრავი ქონება 6300 აშშ დოლარად უკანონოდ გაასხვისა ლ. რ-იაზე. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2007 წლის ივლის-აგვისტოს მდგომარეობით გასხვისებული ბინის საბაზრო ფასი საორიენტაციოდ შეადგენდა 12500 ლარს. აღნიშნული ქმედებით დ. ს-ამ რ. ს-ას მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

ბრალდების ამ ნაწილში ი. ს-ისა და ე. ქ-ის ქმედებები დაკვალიფიცირდა სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით;

2007 წლის დეკემბერში ჯ. გ-მა გადაწყვიტა უცხოეთში მცხოვრები დეიდაშვილის - ს. ს-ის თანხმობით ამ უკანასკნელის კუთვნილი, რუსთავში, მე-12 მრ-ნის #-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის გაყიდვა. ვინაიდან სხვისი უძრავი ნივთის კანონიერად გასხვისებისათვის მას არ ჰქონდა სათანადო, იურიდიულად დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, ამიტომ განიზრახა, მოეპოვებინა და გამოეყენებინა ყალბი სანოტარო აქტი ბინის განკარგვის შესახებ. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა რუსთავში, ლ-ის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების სააგენტოს, სადაც ნაცნობის - ი. კ-ის მეშვეობით გაიცნო მაკლერი დ. ქ-ი, რომელსაც გაანდო თავისი განზრახვა და სთხოვა დახმარება. დ. ქ-ი 150 აშშ დოლარის სანაცვლოდ დაჰპირდა ყალბი სანოტარო აქტის მოპოვებას. ამ მიზნით 2007 წლის დეკემბერში იგი დაუკავშირდა თავის ნაცნობ ი. ს-ეს, რომელსაც გადასცა 100 აშშ დოლარი და შეთანხმდნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე, ს. ს-ის კუთვნილ ბინაზე ჯ. გ-ის სახელზე მართვის, განკარგვისა და გასხვისების უფლებით ყალბი მინდობილობის დამზადების თაობაზე. ფულისა და ყველა საჭირო რეკვიზიტის მიღების შემდეგ ი. ს-ე თავის მხრივ დაუკავშირდა ე. ქ-ეს, რომელთანაც გაინაწილა აღებული ფული. მათ 2007 წლის დეკემბერში დაამზადეს 2007 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული ყალბი სანოტარო აქტი #1-9176, დამოწმებული ნოტარიუს ს. ხ-ას ყალბი ბეჭდით, რომელიც გადასცეს დ. ქ-ს და რომელმაც აღნიშნული ყალბი დოკუმენტი გაასაღა ჯ. გ-ზე. ჯ. გ-მა იგი წარადგინა რუსთავის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში და თანამშრომლების შეცდომაში შეყვანის გზით მიიღო საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი.

ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში ი. ს-ისა და ე. ქ-ის ქმედებები დაკვალიფიცირდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

1993 წლის 13 ივლისს რუსთავში, თოდრიის მე- ჩიხის მე- კორპუსის ბინა #-ში მცხოვრებმა მ. ო-მა საკუთარი ბინა გადაუცვალა ე. მ-ს, თუმცა ბინის გადაფორმების პროცედურის დასრულება ვერ შეძლო, რადგან ე. მ-ი საცხოვრებლად საზღვარგარეთ წავიდა. ვინაიდან მ. ო-ს ბინის გადაფორმების პროცედურის დასრულებისათვის სათანადო, იურიდიულად დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი არ გააჩნდა, განიზრახა ბინის განკარგვის შესახებ ყალბი სანოტარო აქტის უკა-



ნონოდ შეძენა და გამოყენება. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ჯ. ვ-ს, რომელსაც გაანდო თავისი განზრახვა და სთხოვა დახმარება. ჯ. ვ-ი 400 აშშ დოლარის სანაცვლოდ დაჰპირდა ყალბი სანოტარო აქტის მოპოვებას და ამ მიზნით წინასწარ გამოართვა 200 აშშ დოლარი. 2007 წლის ნოემბერში იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ი. ს-ეს და შეთანხმდნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი ბინის მ. ო-ის სახელზე მართვის, განკარგვისა და გასხვისების უფლებით ყალბი მინდობილობის დამზადებაზე. ყველა საჭირო რეკვიზიტის მიღების შემდეგ ი. ს-ე, რომელსაც მ. ო-მა ასევე გადასცა 200 აშშ დოლარი, თავის მხრივ დაუკავშირდა ე. ქ-ეს. მათ 2007 წლის ნოემბერში დაამზადეს 2004 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული, #1-7263 ყალბი სანოტარო აქტი, დამოწმებული ნოტარიუს მ. ქ-ას ყალბი ბეჭდითა და ხელმოწერით, რომ თითქოსდა ე. მ-მა მ. ო-ს გადასცა მინდობილობა ბინის მართვის, განკარგვისა და გასხვისების უფლებით. 2007 წლის ნოემბერშივე ი. ს-ე და ე. ქ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ნაცნობს - ნ. ძ-ას და სთხოვეს დახმარება ყალბი სანოტარო აქტის - უძრავ ქონებაზე მართვისა და განკარგვის უფლების შესახებ მინდობილობის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერის მიღებაში. ნ. ძ-ამ აღუთქვა მათ დახმარება. 2007 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში მ. ო-მა ი. ს-ისა და ე. ქ-ისაგან შეძენილი ყალბი სანოტარო აქტის გამოყენებით, რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლების შეცდომაში შეყვანის გზით მიიღო საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი ე. მ-ის სახელზე, ხოლო შემდეგ - ყალბი საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი მ. ო-ის სახელზე.

ბრალდების ამ ნაწილში ი. ს-ისა და ე. ქ-ის ქმედებები დაკვალიფიცირდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

2008 წლის 30 მაისს ი. ს-ე ე. ქ-ესთან ერთად შეხვდა რუსთავში, მშენებელთა ქ. #-ში მცხოვრებ მ. ბ-ს, რომელსაც სურდა მამის - ი. ფ-ის კუთვნილი ბინის ყალბი დოკუმენტით გაფორმება და შემდეგ იპოთეკით დატვირთვა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ. ბ-მა მათ შესთავაზა, მისთვის დაემზადებინათ ყალბი მინდობილობა, რომლის საფუძველზეც მას ექნებოდა აღნიშნული საცხოვრებელი ბინის განკარგვის, გასხვისებისა და გაყიდვის უფლება. ი. ს-ემ და ე. ქ-ემ ფერადი სამრავლებელი საშუალების გამოყენებით დაამზადეს და შემდეგ - 2008 წლის 2 ივნისს გაასაღეს ყალბი მინდობილობა, რისთვისაც მ. ბ-ისაგან საფასურად მიიღეს 400 აშშ დოლარი.

ბრალდების ამ ნაწილში ი. ს-ისა და ე. ქ-ის ქმედებები დაკვალიფიცირდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენით, შ. ლ-ეს მოეხსნა სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, მისი ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

"ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრისა და 2008 წლის 21 ნოემბრის კანონთა შესაბამისად, ი. ს-ესა და ე. ქ-ეს საბოლოოდ განესაზღვრათ: ი. ს-ეს - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 2000 ლარი, ხოლო ე. ქ-ეს - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 2000 ლარი. ი. ს-ეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 10 თებერვლიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2008 წლის 4 აგვისტოდან 6 აგვისტოს ჩათვლით; ე. ქ-ეს - 2009 წლის 16 მარტიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2008 წლის 30 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო შ. ლ-ეს - 2009 წლის 12 მარტიდან. გაუქმდა ი. ს-ისა და ე. ქ-ისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო და გირაოს თანხა - 10 000-10 000 ლარი დაუბრუნდათ გირაოს შემტანებს. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულებს ნ. მ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 8 000 ლარის ანაზღაურება.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ დ. ფ-ს შორის, რომლის თანახმად, დ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 4 000 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა ნ. მ-ემ, დაზარალებულ ნ. მ-ის წარმომადგენელმა ც. შ-ემ, მსჯავრდებულების ადვოკატებმა - კ. კ-მა, მ. ქ-ამ და დ. ბ-ემ.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება, შ. ლ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საბოლოოდ 9 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ი. ს-ისა და ე. ქ-ისათვის საბოლოოდ სასჯელუბად 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

დაზარალებულის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და მსჯავრდებულებისათვის სოლიდარულად 32 000 ლარის დაკისრება.

მსჯავრდებულ ე. ქ-ის ადვოკატმა კ. კ-მა სააპელაციო საჩივრით ითხოვა ე. ქ-ისათვის 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის - 125 ლარით განსაზღვრა; მსჯავრდებულ შ. ლ-ის ადვოკატმა მ. ქ-ამ - შ. ლ-ის გამართლება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ი. ს-ის ადვოკატმა დ. ბ-ემ - ი. ს-ისათვის ბრალდების სამ ეპიზოდში ისეთი სასჯელის განსაზღვრა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, დანარჩენ ორ ეპიზოდში კი - მინიმალური სასჯელის შეფარდება, ასევე - დაზარალებულის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოხსნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 3 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - პროკურორი პ. ბ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა როგორც კვალიფიკაციის, ისე - სასჯელის ნაწილში და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მსჯავრდებულთა ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ზარალის ანაზღაურების კუთხით - მათ არც კი უცდიათ ზარალის ანაზღაურება; ე. ქ-ისა და ი. ს-ის მიერ ერთი და იმავე ხასიათის დანაშაულის ხუთი ეპიზოდის ჩადენა მიუთითებს დანაშაულის მომეტებულ საზოგადოებრივად საშიშ ხასიათზე, რის გამოც მათ მიმართ გამოტანილი ლმობიერი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენასა და მათ რესოციალიზაციას. სასამართლომ არ გაიზიარა დაზარალებულ ნ. მ-ის ჩვენება თავისი ბინის ფასთან დაკავშირებით და ასევე - აუდიტის დასკვნა, სადაც ბინის ღირებულებად დაფიქსირებულია 32 000 ლარი და იხელმძღვანელა შ. ლ-ისა და დ. ფ-ის მიერ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ფასებით და დაცვის მხარის მიერ წარდგენილი სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, რაც შ. ლ-ის მიმართ დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლისა და ლმობიერი სასჯელის განსაზღვრის საფუძველი გახდა. ასევე არასწორია შ. ლ-ის ბრალდებიდან საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ამორიცხვა იმ მოტივით, რომ ყალბი დოკუმენტის შექმნა და გამოყენება წარმოადგენს თაღლითობის „კონსტრუქციულ ელემენტს“ და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ყალბი დოკუმენტის შექმნამ და გამოყენებამ ცალკე დანაშაული შეადგინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

დაზარალებული ნ. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვისათვის იმ მოტივით, რომ სასამართლომ ბინის რეალური ფასის გათვალისწინებით განუსაზღვროს შ. ლ-ეს სასჯელი და დაკმაყოფილდეს მისი სამოქალაქო სარჩელი.

მსჯავრდებული შ. ლ-ე შესაგებლით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი; ასევე - გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - საბოლოოდ განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ დაზარალებულის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლისა და დაზარალებულის მოტივებს მითვისებული უძრავი ნივთის ღირებულებასთან და ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, რადგან გასაჩივრებული განაჩენით დადგენილადაა მიჩნეული მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა მოპოვებული მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება და ვერც კასატორები მიუთითებენ მტკიცებულებაზე რის საფუძველზეც სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა, გაეზიარებინა დაზარალებულის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და, შესაბამისად, არ დათანხმებოდა დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული კვლევის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, სსსკ-ის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ეჭვი უნდა გადაწყვეტილიყო განსასჯელის სასარგებლოდ და ამ ნაწილში სააპელაციო პალატის მსჯელობა კანონიერია.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს პროკურორის საჩივრის მოტივებს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულთათვის დანიშნული

სასჯელების უსამართლობის თაობაზე, რადგან არცერთ მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია. რაც შეეხება ზიანის აუნაზღაურებლობას, პალატის მიერ განმარტებულია, რომ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე და ამ წამახალისებელი ნორმის შეუსაბამო ქმედება პასუხისმგებლობის დამამძიმებლად ვერ მიიჩნევა. ანალოგიური შეიძლება ითქვას ყოფაქცევაზე ქმედების შემდეგ. მსჯავრდებულთა პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და მათ მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, ი. ს-ისა და ე. ქ-ისათვის დანიშნული სასჯელები ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მსუბუქად და აშკარად უსამართლოდ, მით უფრო, რომ ამ სასჯელების საბოლოო სახე და ზომა განისაზღვრა "ამნისტიის შესახებ" საქართველოს არაერთი კანონის გამოყენებით. რაც შეეხება შ. ლ-ისათვის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს, მას სახელმწიფო ბრალმდებელი სადაოდ არ ხდის, რადენადაც მიიჩნევს, რომ ბრალდების ამ ეპიზოდში მსჯავრდებულს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, მაგრამ შ. ლ-ის ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული, კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, რაც უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, შ. ლ-ის მიერ ყალბი დოკუმენტის გამოყენება, როგორც მოტყუების ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს თაღლითობის კონსტრუქციულ ელემენტს და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია მოტყუება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, სხვისი ქონება, მაგრამ არა ამ დანაშაულის ჩადენის საშუალება, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სხვადასხვა იყოს. ამგვარი მსჯელობით ცეცხლსასროლი იარაღიც ყაჩაღობის ან მკვლელობის შემთხვევაში სსკ-ის 179-ე და 108-ე მუხლების შემადგენლობის კონსტრუქციული ელემენტია, რადგან ამ იარაღის გარეშე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან მუქარა, ან მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ცალკეულ შემთხვევებში არ დადგებოდა. მოცემულ შემთხვევაში საკითხის არასწორად გადაწყვეტა გამოიწვია მუხლის დისპოზიციის აუცილებელი ნიშნებისა და დანაშაულის საგნის გაიგივებამ, რაც დაუშვებელია. ცალკეული საგნის გამოუყენებლად შესაბამისი დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობა არ ნიშნავს, რომ ეს საგანი ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, მაგრამ შ. ლ-ის ქმედების კვალიფიკაციისას არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, რაც მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველია და, შესაბამისად, ამ ნაწილში პროკურორის საჩივრის მოტივები გასაზიარებელია.

პალატა აქვე აღნიშნავს, რომ შ. ლ-ის ქმედება სწორად დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და საქმის ხელახლა განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი - მნიშვნელოვანი ზიანი, მთლიანად მოიცავს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იგივე მაკვალიფიცირებელ ნიშანს. ამრიგად, შ. ლ-ის ქმედების მხოლოდ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების ნაწილში არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მხოლოდ ამ საფუძველით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

დაზარალებულ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

პროკურორ პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ - გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 3 მაისის განაჩენი შ. ლ-ის, ი. ს-ისა და ე. ქ-ის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე

#### განჩინება

#593-აპ-10

3 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განაჩენით, დ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე დაზარალებულ ლ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1640 ლარის, ხოლო დაზარალებულ ე. ნ-ის სასარგებლოდ - 2680 ლარის გადახდა. მსჯავრდებულ დ. ხ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 22 ოქტომბრიდან.

განაჩენით დ. ხ-ს მსჯავრი დაედო ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 21 ოქტომბერს დ. ხ-მა გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად განიზრახა, რომ ქ. მცხეთაში, ე.წ. "თეატრონის" მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვისი მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ყაჩაღურად თავს დასხმოდა იქ მყოფ მოქალაქეებს.

იმავე დღეს დ. ხ-ი შეიარაღდა გადაჭრილი თოფით და გამოძიებით დაუდგენელ, დანით შეიარაღებულ ორ პირთან ერთად, წინასწარ მომზადებული ნიღბებით, მივიდა ქ. მცხეთაში არსებულ, ე.წ. "თეატრონის" მიმდებარე ტერიტორიაზე. საღამოს, დაახლოებით 21.00 საათზე, მსჯავრდებულმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა შეამჩნიეს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ შადრევანთან გაჩერებული ავტომანქანის, სახელმწიფო სარეგისტრაციო #... , წინ მყოფი მოქალაქეები - ლ. ბ-ი და ე. (ე.) ნ-ი. დ. ხ-ი და მისი თანამზრახველები თავს დაესხნენ ე. ნ-ს და ლ. ბ-ს. ამ უკანასკნელს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და მათ ხელთ არსებული გადაჭრილი თოფით და დანით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ორივე მათგანი იძულებით მოათავსეს ავტომანქანის უკანა სავარძელზე, რის შემდეგაც ისინი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მათ კუთვნილ ნივთებს, შემდეგ კი დ. ხ-ი და მისი თანმხლები პირები შემთხვევის ადგილიდან მიიშლნენ. დ. ხ-ის და მისი თანამზრახველების დანაშაულებრივი ქმედებით ლ. ბ-ს მიადგა ... ლარის ზიანი, ხოლო ე. ნ-ს - ... ლარის ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. ხ-ის დამცველმა, ადვოკატმა ზ. გ-მა. თავისი საჩივრით აპელანტი ითხოვდა დ. ხ-ის გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რაც საკმარისი იქნებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის დამნაშავედ ცნობისათვის. გარდა ამისა, აპელანტის განცხადებით გასაჩივრებული განაჩენი არის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არ შეესაბამება სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ დ. ხ-ის დამცველის, ადვოკატ ზ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 მარტის განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულ დ. ხ-ის სასიკეთოდ, კერძოდ: დ. ხ-ს შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით - შეუმცირდა 6 თვით და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. ხ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში. საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად კასატორი უთითებს იმ მოტივებზე, რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. ხ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. ხ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც სრულად გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ და რომლებითაც უტყუარადაა დადასტურებული დ. ხ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა. საკასაციო პალატას ასევე მიაჩნია, რომ მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს: საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულმა ლ. ბ-მა უარი განაცხადა მისი როგორც სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე, რასაც სათანადო ყურადღება არ მიექცა როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული გარემოება კი ადასტურებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები და ასევე, უგულებელყოფილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკა, ვინაიდან საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-7 და მე-40 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძველით როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ზემომითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ დ. ხ-სათვის დაზარალებულ ლ. ბ-ის სასარგებლოდ ... ლარის დაკისრების თაობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა დაზუსტდეს ცალკეული ნივთმტკიცების საკითხის ნაწილში, კერძოდ, გლუვლულიანი სანადირო თოფის 12 ვაზნა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: დაზარალებულ ლ. ბ-ის სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით შეწყდეს წარმოება სარჩელზე უარის გამო და, შესაბამისად, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ დ. ხ-ისათვის დაზარალებულ ლ. ბ-ის სასარგებლოდ 1640 ლარის დაკისრების თაობაზე.

გლუვლულიანი სანადირო თოფის 12 ვაზნა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ დ. ხ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. განსჯადობა

### განჩინება

#995-აპ-09

4 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულ ა. გ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 სექტემბრის განაჩენით ბ. ჭ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 500 ლარი. იმავე განაჩენით არ დაკმაყოფილდა დაზარალებულ ა. გ-ის სამოქალაქო სარჩელი.

ბ. ჭ-ს განაჩენით მსჯავრი დაედო ცემისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 25 მარტს ა. გ-ე იმყოფებოდა თავის საკარმიდამო ნაკვეთში ხეების დასარგავად. სახლში მობრუნებულს ხელში ეჭირა ვენახის მაკრატელი. ამ დროს მას ჭიშკართან ლანძღვა-გინებით მიუვარდა მთვრალი ბ. ჭ-ი და უყვირა, - "მაკრატელი რატომ გიჭირავს ხელში, მაგ მაკრატლით მაშინებო". მან მაკრატელი ჩამოკიდა ჭიშკარზე და უთხრა, თუ რაიმე ჭკონდა სადავო, მოეყვანა სოფლის გამგებელი და ის გაარკვევდა ყველაფერს, შემდეგ კი ჭიშკრისკენ შეტრიალდა, რა დროსაც ბ. ჭ-მა მას ორჯერ დაარტყა ზურგიდან თავში. ა. გ-ე წაიქცა და ძლივს ადგა ფეხზე, ხოლო გაქცეულმა ბ. ჭ-მა მას ორჯერ ესროლა რიყის ქვა, რითაც ბ. გ-ეს მიაყენა მსუბუქი ხარისხის სხეულის დაზიანება, რასაც შედეგად ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა არ მოჰყოლია. აღნიშნულის შესახებ ა. გ-ის მეუღლემ შეატყობინა პოლიციას.

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულმა ა. გ-ემ. თავისი საჩივრით იგი ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ გამოძიება ჩატარდა არაობიექტურად, მას ბ. ჭ-თან ერთად მიუვარდა გ. ლ-ეც, გამომძიებელმა კი პასუხისგებაში მისცა მხოლოდ ბ. ჭ-ი; თვითონ არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, აქვს დიაბეტი, ამ შემთხვევის შემდეგ მას ჯანმრთელობა გაუუარესდა და მკურნალობაში დაეხარჯა დიდი თანხა, რის გამოც კასატორის განმარტებით, ბ. ჭ-ის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით; ამავე დროს, ავადმყოფობის გამო, მან ვერ მოახერხა საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავება. აღნიშნულით მას მიადგა 8900 ლარის ზიანი, რაც ბ. ჭ-ს უნდა დაეკისროს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე დაზარალებულმა ა. გ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ჭ-ის მიმართ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ დაზარალებულ ა. გ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მე-5<sup>2</sup> ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ: "სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ან მუხლის ნაწილი სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებული ითხოვს გამართლ-

ბას ან პროკურორი გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას". საკასაციო პალატა განმარტავს: მართალია, მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება კერძო ბრალდების საქმეს, სადაც, საპროცესო კანონის თანახმად, ბრალმდებელია დაზარალებული, მაგრამ ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუკი კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს ისეთი დანაშაულის საქმეზე, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონი სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ასეთ შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-5<sup>2</sup> ნაწილით დადგენილი მოთხოვნა საჯარო და კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებთან ერთად თანაბრად ვრცელდება აგრეთვე კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეთა მიმართაც. ამიტომ, ვინაიდან ბ. ჭ-ის მიმართ დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის კანონით სასჯელად თავისუფლების აღკვეთა არ არის გათვალისწინებული, საქმეში კი არ მოიპოვება მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ჭ-ის სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ ექვემდებარებოდა სააპელაციო წესით გასაჩივრებას, რის გამოც, ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა განეხილა დაზარალებულ ა. გ-ის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ბ. ჭ-ის სისხლის სამართლის საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2009 წლის 18 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო აღნიშნული განაჩენის თაობაზე დაზარალებულ ა. გ-ის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ბ. ჭ-ის ბრალდების საქმეზე დაზარალებულ ა. გ-ის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მსჯავრდებულ ბ. ჭ-ის მიმართ 2009 წლის 18 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი გაუქმდეს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **5. ნივთიერი მტიცებულება**

### **განჩინება**

#757-აპ-09

8 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ბ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის განაჩენით დ. ბ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ბ-ამ დაუდგენელი პირისაგან, დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსის“ 2 აბი, რომელიც შეიცავდა 0,016 გრ. ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“. აქედან ერთ აბს მსჯავრდებული ინახავდა თავის ავტომანქანაში.

2008 წლის 1 სექტემბერს, ქ. ბათუმში, ... ქუჩის 51-ე საცხოვრებელი სახლის წინ, საავტომობილო გზაზე, ეჭვმიტანილის სახით დააკავეს დ. ბ-ა, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს შარ-

ვლის წინა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს ერთი აბი „სუბოტექსი“, რომელიც შეიცავს 0,008 გრ. ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“. იმავე დღეს, ... ქუჩაზე, #9-ე საცხოვრებელი სახლის ეზოში, დ. ბ-ას ავტომანქანის წინა, მარცხენა კარის შიდა ჯიბიდან ამოიღეს ერთი აბი „სუბოტექსი“, რომელიც შეიცავს 0,008 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ბ-ას მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 2 ათასი ლარი. მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 1 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ვ. გ-ემ. მათ ითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საქმის განხილვისას აპელანტებმა დააზუსტეს საჩივრის მოთხოვნა და იმუამდგომლეს მსჯავრდებულის ქმედების სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირება, რაც სააპელაციო პალატის 2009 წლის 28 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ დ. ბ-ას დამცველი, ადვოკატი ა. კ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დ. ბ-ას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად, განაჩენში გაითვალისწინეს მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდები, ხოლო სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებები არ გაიზიარეს. განაჩენი დაეყრდნო მხოლოდ საქმის ბედიით დაინტერესებული პოლიციელების ურთიერთგამომრიცხავ და არათანმიმდევრულ ჩვენებებს.

კასატორის მოსაზრებით, კანონით დადგენილი წესის დარღვევითაა შედგენილი დ. ბ-ას ეჭვმიტანილად დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, რადგან მასზე ხელს არ აწერენ დაკავებაში მონაწილე ინსპექტორ-გამომძიებლები, არ არის მითითებული, რომ ამოღებული ნივთები შეიფუთა, დაილუქა და ხელი მოაწერეს თუ არა დამსწრე პირებმა; ოქმში არ შეიტანეს დ. ბ-ასაგან ავტომანქანის გასაღების ამოღება. 2008 წლის 1 სექტემბრის დადგენილებაზე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ავტომანქანის ჩხრეკის წარმოების შესახებ არ არის გამომძიებლის ხელმოწერა, ამიტომ ავტომანქანის ჩხრეკა უკანონოა; ოქმიდან არ ჩანს, როგორ გააღეს ავტომანქანა, საიდან ამოიღეს ტექპასპორტი და დ. ბ-ას მართვის მოწმობა. ავტომანქანის გასაღების ამოღება და დალუქვა ოქმში აშკარად ჩამატებულია დ. ბ-ას ხელმოწერის შემდეგ, ამიტომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები დაუშვებელ მტკიცებულებებად უნდა იყოს ცნობილი. ყოველივე კი სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ, სანამ ჩხრეკდნენ დ. ბ-ას, მისი ავტომანქანა წინასწარ გააღეს და ჩადეს ერთი აბი „სუბოტექსი“, მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნეს მანქანის გასაღები პატრონს. საყურადღებოა ისიც, რომ დ. ბ-ამ დანაშაული აღიარა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დაჰპირდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. მსჯავრდებულს არ ჰქონია ნარკოტიკული საშუალება, მაგრამ, რადგან გაუგებარია, როგორ მოხვდა მისი შარვლის ჯიბეში „სუბოტექსი“, ამიტომ კასატორი ამ ფაქტს სადაოდ არ ხდის. მოტყუებით მიღებული დ. ბ-ას აღიარება სასამართლო სხდომებზე მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ა. კ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის განაჩენის გაუქმებას, დ. ბ-ას ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელად 1 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

გარდა ამისა, წარმოდგენილია მსჯავრდებულის ადვოკატ შ. ლ-ის დამატებითი საკასაციო საჩივარი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს დამატებით საკასაციო საჩივარზე, ვინაიდან იგი შეტანილია კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 554-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი საკასაციო საჩივარი შეაქვთ 526-ე მუხლით დადგენილი წესით, რომლის შესაბამისად, დამატებითი საჩივრის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ, ერთი თვის ვადაში.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ დ. ბ-ას პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის ოქმები დაუშვებელი მტკიცებულებებია, კერძოდ:



პირადი ჩხრეკის ოქმში, რომელსაც გაეცნო ექვმიტანილი და მისი ასლიც ჩაიბარა, აღწერილია ყველა ჩამორთმეული საგანი. მართალია, მასში არ არის მითითება ამ საგნების დალუქვის შესახებ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ეს გარემოება ოქმის დაუშვებლად ცნობის საფუძველს არ წარმოადგენს, რადგან საგნების დალუქვის ფაქტი უტყუარად დასტურდება სხვა მტკიცებულებით, კერძოდ, ექსპერტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ეს მტკიცებულება იყო დალუქული და ლუქზე იყო ექვმიტანილის ხელმოწერაც. ამ ფაქტს არც კასატორი ხდის სადავოდ. ნივთიერი მტკიცებულება, სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებლად ითვლება, თუ უარყოფილი არ არის ვარაუდი მისი შესაძლო გამოცვლის, ნიშნებისა და თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ. ამ შემთხვევაში ამგვარი ვარაუდის საფუძველი არ არსებობს.

დ. ბ-ას დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი შედგენილია გამომძიებლის მიერ. კასატორი მიუთითებს, რომ ოქმს ხელს არ აწერს ჩხრეკის მონაწილე ყველა პირი, მაგრამ ისინი დაიკითხნენ სააპელაციო სასამართლოში და განმარტეს, რომ დ. ბ-ა უშუალოდ გამომძიებელმა გაჩხრიკა.

როგორც ირკვევა, გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის შესახებ დადგენილებას ხელს არ აწერს მისი გამომტანი გამომძიებელი, მაგრამ ამ დადგენილებას გაეცნო დ. ბ-ა, რაც ხელმოწერით დაადასტურა.

ავტომანქანის ჩხრეკის ოქმი შედგენილია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო მის შედეგთან დაკავშირებით, დაკავების დღესვე დ. ბ-ამ მიუთითა, რომ პრეტენზია არ აქვს.

პალატა აღნიშნავს, რომ დ. ბ-ას მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული მისივე აღიარებითი ჩვენების გარეშე, თუმცა საგულისხმოა და სააპელაციო პალატა სწორად მიუთითებს, რომ მსჯავრდებული წარდგენილ ბრალს აღიარებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე პროკურორის უარის შემდეგაც.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არ მოიპოვება საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა იმგვარი დარღვევა, რაც გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას გამოიწვევდა, იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დაზუსტდეს მხოლოდ ზოგიერთი ნივთმტკიცების ნაწილში, რომელთა საკითხი არ გადაწყვეტილა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ დ. ბ-ას ადვოკატ ა. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განაჩენი დაზუსტდეს ნივთიერ მტკიცებულებათა ნაწილში: 400 აშშ დოლარი და 30 თეთრი - დაუბრუნდეს დ. ბ-ას ნდობით აღჭურვილ პირს; 0.995 გრამი "მარიხუანა" და მინის ფლაკონი, რომელზეც აღინიშნება "მორფინის" მიკროკვლეები - განადგურდეს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **6. დანაშაულის ჩასადენად გამოიხნული ნივთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა**

### **განჩინება**

#21-აპ-10

24 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. ს-ისა და ვ. ს-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების - დ. ფ-ისა და ნ. ნ-ის, ასევე, მსჯავრდებულ გ. მ-ის კანონიერი წარ-

მომადგენლის - გ. მ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. მ-ე (პატიმრობაში იმყოფებოდა 2008 წლის 15 დეკემბრიდან 2009 წლის 29 მაისამდე, 5 თვე და 15 დღე. გარდაიცვალა 2009 წლის 29 მაისს სასჯელადსრულების დაწესებულებაში) ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და იმავე კოდექსის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ასევე სსკ-ის 273-ე მუხლით. საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. მ-ეს არ დაენიშნა სასჯელი.

ვ. ს-ი, ამჟამად პატიმარი გამართლდა სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით 12 წლით, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილით, შვიკრების წესით, ვ. ს-ს სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ს-ი, ამჟამად პატიმარი, გამართლდა სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით 9 წლითა და 6 თვით, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილისა და სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე განახევრებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - და გ. ს-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ს-სა და გ. ს-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5-5 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15-15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ნივთმტკიცებები - ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ნივთიერებები, წონით - 5,45369, 0,18, 0,47 გრ. და ერთი ერთჯერადი შპრიცი, რომლებიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს; „ნოკიასა“ და „მოტოროლას“ ფირმის მობილური ტელეფონები, სიმბარათებით, საქართველოს მოქალაქის ძველი პასპორტი, პირადობის მოწმობა და სამხედრო ბილეთი უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელს, ხოლო ვ. ს-ის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული თანხა - 150 ლარი, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში; ა/მანქანა „დაიჰაცუ-შერიედი“, სახელმწიფო ნომრით . . . , როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოზნული ნივთი, უნდა მიექცეს სახელმწიფო საკუთრებაში.

ვ. ს-ი და გ. ს-ი სასჯელს იხდიან 2008 წლის 16 დეკემბრიდან.

განაჩენით გ. მ-ეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში, აგრეთვე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვასა და გასაღებაში, ასევე, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ.

ვ. ს-ს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გასაღებაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული დანაშაული, აგრეთვე, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

გ. ს-ს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გასაღებაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული დანაშაული, აგრეთვე, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-ე 2008 წლის 24 ნოემბერს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს დადგენილებით ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 500 ლარი.

გ. მ-ე წინასწარ შეუთანხმდა ვ. და გ. ს-ებს, რომ შემდგომი გასაღებისა და ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით, მიუტანდა მათ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, რის შემდეგაც ისინი რეალიზაციას გაუკეთებდნენ, ხოლო აღებულ თანხას ურთიერთშორის გაინაწილებდნენ.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შეთანხმებისამებრ, 2008 წლის 12 დეკემბერს, 9 საათსა და 47 წუთზე, ვ. ს-ი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა გ. მ-ეს და შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი 10 წუთში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მიუტანდა ნარკოტიკულ საშუალებას. ამის შემდეგ ვ. ს-მა თავისი ძმის - გ. ს-ის დახმარებით, იმავე დღეს, თავისი საცხოვრებელი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე, 12 საათსა და 12 წუთზე, 13 საათსა და 2 წუთზე - გამოძიებით დაუდგენელ პირებზე, 15 საათსა და 35 წუთზე - ვინმე „მელიტონიჩზე“, ხოლო 17 საათსა და 45 წუთზე - ვინმე „ჩიკოზე“ უკანონოდ გაასაღა ნარკოტიკული საშუალება.

2008 წლის 13 დეკემბერს, 8 საათსა და 38 წუთზე, ვ. ს-ი მობილური ტელეფონით ისევ დაუკავშირდა გ. მ-ეს და შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი კვლავ მიუტანდა ნარკოტიკულ საშუალებას. აღნიშნულის შემდეგ ვ. ს-მა თავისი ძმის - გ. ს-ის დახმარებით 11 საათსა და 12 წუთზე, 11 საათსა და 27 წუთზე, 13 საათსა და 12 წუთზე - გამოძიებით დაუდგენელ პირებზე, ხოლო 11 საათსა და 45 წუთზე - ვინმე „ვალიკოზე“ უკანონოდ გაასაღა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რის შესახებაც შეატყობინეს გ. მ-ეს და სთხოვეს ნარკოტიკული საშუალების კიდევ მიტანა.

ამ მიზნით გ. მ-ე 2008 წლის 15 დეკემბერს თ. მ-ესა და თე. მ-ესთან ერთად, „სარფის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით, გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც, გ. მ-ის მითითებით, მივიდნენ ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში. მან ადგილობრივი მცხოვრებლის ოჯახში დატოვა თე. მ-ე და თ. მ-ე, თვითონ კი დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რის შემდეგაც თ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული და გ. მ-ის კუთვნილი ა/მანქანა „დაიჰაცუ-შერედიტ“, სახელმწიფო ნომრით . . . , სამივე მათგანი გამოემგზავრა საქართველოს მიმართულებით. 2008 წლის 15 დეკემბერს „სარფის“ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით მათ ერთად გადმოკვეთეს საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი. იმავე დღეს, 22 საათსა და 40 წუთზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ქ. ქუთაისში გააჩერეს ზემოხსენებული ა/მანქანა და დააკავეს ავტომობილის მგზავრები - თ. მ-ე, თე. მ-ე და გ. მ-ე, რომელთაც გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად გ. მ-ის პერანგის მარცხენა, გარე ჯიბიდან ამოიღეს ოქროსფერ ქაღალდში შეხვეული, მოყავისფრო ნივთიერება, ხოლო სწორი ნაწლავიდან - თეთრი მწებავით გადახვეული, ორ სწრაფ-ჩამკერძიან, გამჭირვალე პარკში შეფუთული, მოყავისფრო ნივთიერება, რაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს „ჰეროინის“ შემცველ ფხვნილს, საერთო წონით - 12,985 გრამს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობა შეადგენს 5,45369 გრამს.

საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტკური მთავარი სამმართველოს იმერეთის რეგიონული სამსახურის დასკვნით გ. მ-ეს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

ვ. ს-ი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 3 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 15 სექტემბრის განაჩენით მას საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვ. ს-ი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 2008 წელს.

გ. ს-ი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

მიუხედავად ამისა, ისინი არ დაადგინენ გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინეს განზრახვი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, კერძოდ:

ვ. ს-ი, ძმასთან - გ. ს-სთან ერთად წინასწარ შეუთანხმდა გ. მ-ეს, რომ შემდგომი გასაღებისა და ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით, მათთვის მიეტანა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, თვითონ კი მოახდენდნენ მის რეალიზაციას და აღებულ თანხას ურთიერთშორის გაინაწილებდნენ.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2008 წლის 12 დეკემბერს, 9 საათსა და 47 წუთზე, ვ. ს-ი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა გ. მ-ეს და შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი 10 წუთში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მიუტანდა ნარკოტიკულ საშუალებას. ამის შემდეგ ვ. ს-მა თავისი ძმის - გ. ს-ის დახმარებით, იმავე დღეს, თავისი საცხოვრებელი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე, 12 საათსა და 12 წუთზე, 13 საათსა და 2 წუთზე - გამოძიებით დაუდგენელ პირებზე, 15 საათსა და 35 წუთზე - ვინმე „მელიტონიჩზე“, ხოლო 17 საათსა და 45 წუთზე - ვინმე „ჩიკოზე“ უკანონოდ გაასალა ნარკოტიკული საშუალება.

2008 წლის 13 დეკემბერს, 8 საათსა და 38 წუთზე, ვ. ს-ი მობილური ტელეფონით ისევ დაუკავშირდა გ. მ-ეს და შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი კვლავ მიუტანდა ნარკოტიკულ საშუალებას. აღნიშნულის შემდეგ ვ. ს-მა თავისი ძმის - გ. ს-ის დახმარებით 11 საათსა და 12 წუთზე, 11 საათსა და 27 წუთზე, 13 საათსა და 12 წუთზე - გამოძიებით დაუდგენელ პირებზე, ხოლო 11 საათსა და 45 წუთზე - ვინმე „ვალეკოზე“ უკანონოდ გაასალა ნარკოტიკული საშუალება „პეროინი“, რის შესახებაც შეატყობინეს გ. მ-ეს და სთხოვეს ნარკოტიკული საშუალების კიდევ მიტანა.

2008 წლის 16 დეკემბერს, 5 საათსა და 5 წუთზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოსა და იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა განყოფილების თანამშრომლებმა ქ. ზესტაფონში, თავის საცხოვრებელ ბინაში, დააკავეს ვ. ს-ი და გ. ს-ი, რომელთაც გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც გ. ს-ს შარვლის მარცხენა, უკანა ჯიბეში, აღმოაჩნდა სიგარეტის ოქროსფერ ქაღალდის ნაჭრებში ორ ე.წ. „ჩეკად“ დაფასობული, მოყავისფრო ფხვიერი ნივთიერება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „პეროინის“ შემცველ ფხვნილს, წონით - 0,18 გრამს, ხოლო ვ. ს-ისგან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ამოღებული არ ყოფილა. მათ საცხოვრებელ ბინაში, საძინებელი საწოლის ლეიბის ქვემოდან, ამოიღეს ოქროსფერ ფოლგის ქაღალდში ხუთ ე.წ. „ჩეკად“ დაფასობული, მოყავისფრო ნივთიერება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „პეროინის“ შემცველ ფხვნილს, წონით - 0,47 გრამს.

ვ. ს-სა და გ. ს-ს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, საქსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს იმერეთის რეგიონული სამსახურის დასკვნებით დაუდგინდათ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - გ. ს-ისა და ვ. ს-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - დ. ფ-ემ და ნ. ნ-ემ, ასევე მსჯავრდებულ გ. მ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა გ. მ-ემ.

აპელანტმა - მსჯავრდებულ ვ. ს-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ნ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იმ მოტივით, რომ იგი არის დაუსაბუთებელი და არ ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობას; განაჩენი ეფუძნება მხოლოდ მსჯავრდებულის საცხოვრებელ სახლში პოლიციის მუშაკების მიერ კანონმდებლობის უხეში დარღვევებით ჩატარებულ ჩხრეკას, რომლის დროსაც ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები; გარდა ამისა, მოსამართლემ სრულიად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, არ გაიზიარა ვ. ს-ის მეუღლის - ი. მ-ის ჩვენებები, რომ ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მსჯავრდებულებს არ ეკუთვნოდათ და გაიზიარა პოლიციელთა უკანონო ჩვენებები.

აპელანტმა - მსჯავრდებულ გ. მ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა გ. მ-ემ (შვილმა) სააპელაციო საჩივრით ითხოვა გარდაცვლილი მამის მიმართ საქმის შეწყვეტა, მისი რეაბილიტაცია, მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ჩამორთმეული ავტომანქანის მესაკუთრისათვის დაბრუნება, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ არც მოწმეთა ჩვენებებით, არც ნივთმტკიცებებითა და არც ექსპერტთა დასკვნებით უტყუარად არ დასტურდება, რომ გ. მ-ემ მართლაც ჩაიდინა აღნიშნული დანაშაულები, ვინაიდან იგი იყო მძიმე ავადმყოფი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, თავის ტვინში ჰქონდა სისხლის ჩაქცევა, რის გამოც ვერ შეძლებდა მასზე შერაცხული ქმედებების ჩადენას.

აპელანტმა - მსჯავრდებულ გ. ს-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ფ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულისგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მას არ ეკუთვნოდა; გ. მ-ესთან კი არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია; ნარკოტიკების შეძენასა და გასაღებაზე არავისთან საუბარი და ურთიერთობა არ ჰქონია, რაც ასევე არ დასტურდება საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და იმავე კოდექსის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ასევე - სსკ-ის 273-ე მუხლით. საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. მ-ეს სასჯელი არ დაენიშნა.

ვ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით - 12 წლით; საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ვ. ს-ს სასჯელად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლითა და 6 თვით; საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილისა და სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრისა და 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონების საფუძველზე განახევრებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და გ. ს-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების - გ. ს-ისა და ვ. ს-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - დ. ფ-ემ და ნ. ნ-ემ, ასევე, მსჯავრდებულ გ. მ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა გ. მ-ემ საკასაციო საჩივრებით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი - მსჯავრდებულ ვ. ს-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ნ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ იგი არის დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; განაჩენი ეფუძნება მხოლოდ მსჯავრდებულის საცხოვრებელ სახლში პოლიციის მუშაკთა მიერ კანონმდებლობის უხეში დარღვევით ჩატარებულ ჩხრეკას, რომლის დროსაც ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები; გარდა ამისა, მოსამართლემ სრულიად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, არ გაიზიარა ვ. ს-ის მეუღლის - ი. მ-ის ჩვენებები, რომ ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მსჯავრდებულებს არ ეკუთვნოდათ და გაიზიარა პოლიციელთა უკანონო ჩვენებები.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. მ-ის კანონიერი წარმომადგენელი, გ. მ-ე (შვილი) საკასაციო საჩივრით ითხოვს გარდაცვლილი მამის მიმართ საქმის შეწყვეტას, მის რეაბილიტაციას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და ჩამორთმეული ავტომანქანის მესაკუთრისათვის დაბრუნებას იმ მოტივით, რომ არც მოწმეთა ჩვენებებით, არც ნივთმტკიცებებითა და არც ექსპერტიზის დასკვნებით უტყუარად არ დასტურდება, რომ გ. მ-ემ ჩაიდინა შერაცხული ქმედებები, ვინაიდან იგი იყო მძიმე ავადმყოფი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, თავის ტვინში ჰქონდა სისხლის ჩაქცევა, რის გამოც ვერ შეძლებდა დანაშაულის ჩადენას.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. ს-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ფ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რასაც ასაბუთებს იმით, რომ მსჯავრდებულისგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მას არ ეკუთვნოდა და იგი პოლიციის მუშაკებმა ჩაუღდეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების - გ. და ვ. ს-ების ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების: საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების - ვ. მ-ის, შ. კ-ის, ლ. მ-ის ჩვენებებით, მოწმის - თე. მ-ის ჩვენებით, ექვმიტანილების დაკავებისა და პირადი ჩხრეკის, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო

კრიმინალისტიკური სამმართველოს #....., #..... და #.....  
ნარკოლოგიური ექსპერტიზისა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით, ფარული აუდიოჩანაწერის  
ოქმებით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის, ქუთაისის საოლქო  
სასამართლოს 2004 წლის 15 სექტემბრის განაჩენებით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს  
2008 წლის 24 ნოემბრის დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულთათვის ბრა-  
ლად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მათ სწორი სა-  
მართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ნივ-  
თმტკიცების, კერძოდ - ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის ნაწილში, შემდეგ გარე-  
მოებათა გამო:

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებით გ. მ-ის მიერ გამოყენებუ-  
ლი ავტომანქანა "დაიპაცუ-შერეიდი", საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, როგორც  
დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი, მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში. საკასაციო პალატას  
მიაჩნია, რომ სსკ-ის 52-ე მუხლზე მითითება არასწორია, რადგან ქონების ჩამორთმევა წარმოად-  
გენს სასჯელის ერთ-ერთ სახეს, ხოლო საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესა-  
ბამისად, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ განსასჯელი  
გარდაიცვალა. ვინაიდან მსჯავრდებული გ. მ-ე გარდაცვლილია (გარდაიცვალა 2009 წლის 29  
მაისს), ხოლო ავტომანქანა "დაიპაცუ-შერეიდი" კი არის ნივთმტკიცებად ცნობილი, მისი ბედი  
უნდა გადაწყდეს არა სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით, არამედ - სისხლის სამარ-  
თლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, რომლის შესაბამისად,  
ჩამორთმევას დაქვემდებარებული დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი, თუ მას აქვს ღირე-  
ბულება, უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განაჩენში, ნივთმტკიცების  
ნაწილში, უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება:

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა "დაიპაცუ-შერეიდი", სახელმწიფო ნომრით  
..., საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე უსასყიდ-  
ლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვე-  
პუნქტით, 568-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულების - გ. ს-ისა და ვ. ს-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების - დ. ფ-ისა  
და ნ. ნ-ის, ასევე მსჯავრდებულ გ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის - გ. მ-ის საკასაციო სა-  
ჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დე-  
კემბრის განაჩენში, ნივთმტკიცების ნაწილში, შევიდეს შემდეგი ცვლილება:

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა "დაიპაცუ-შერეიდი", სახელმწიფო ნომრით  
....., საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე  
უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. გირაო

### განჩინება

#584-აპ-10

21 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ო. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ვ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის განაჩენით რ. ვ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და არაერთგზის; ასევე - თაღლითობა არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ოქტომბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, რ. ვ-მა განზრახა, წასულიყო გორის რაიონის ... და ... სოფლებში, საიდანაც ფარული დაუფლების გზით მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა მიწაში ჩალაგებული, შიდა სარწყავი სისტემის აზბესტის მილები. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი 2006 წლის ოქტომბერში მივიდა გორის რაიონის სოფელ ... მდებარე კაკლის ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე და „ბელორუსის“ მარკის ექსკავატორის გამოყენებით ორ ადგილას გაჭრა 70 და 120 მეტრი სიგრძის მიწა, გაამზადა იქ ჩალაგებული აზბესტის 250 მლ დიამეტრის მილები და შეეცადა მართლსაწინააღმდეგოდ მათ ფარულ მისაკუთრებას, თუმცა დანაშაულებრივი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რადგან მიუსწრეს სოფელ ... თემის საკრებულოს გამგებელმა დ. შ-მა და ასოციაცია „ლის“ თავმჯდომარე ი. ფ-მა.

აღნიშნულის შემდეგ რ. ვ-ი მივიდა გორის რაიონის სოფელ ... და ე.წ. „მაცივრების“ მიმდებარე ტერიტორიაზე „ბელორუსის“ მარკის ექსკავატორის გამოყენებით გათხარა დაახლოებით 410 მეტრი სიგრძის მიწა, საიდანაც ამოიღო და ფარულად მიისაკუთრა 250 მლ დიამეტრის მქონე 410 მეტრი აზბესტის მილები, რომლებიც გაასხვისა თბილისში, „ელიავას ბაზრობაზე“ ძიებით დაუდგენელ პირებზე.

აღნიშნული ქმედებით რ. ვ-მა დაზარალებულ ორგანიზაციას - გორის რაიონის სოფელ ... თემის საკრებულოს მიაყენა 5740 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 2 სექტემბერს გორში, მ-ის ქ. #50\12-ში მცხოვრებ ნ. თ-თან მივიდა რ. ვ-ი, რომელმაც იცოდა, რომ ნ. თ-ი არემონტებდა ბინას. რ. ვ-მა მოიპოვა მისი ნდობა, შეუთანხმდა, რომ ბინის პატრონს მისთვის გადაეცა 200 აშშ დოლარი და ორ კვირაში მიუტანდა ბინის სარემონტოდ საჭირო ხის მასალას. ნ. თ-მა აღნიშნული თანხა გადასცა, თუმცა რ. ვ-მა დათქმულ ვადაში ხის მასალა არ მიუტანა. იგი ყოველი შეხვედრისას იგონებდა სხვადასხვა მიზეზს და უსახელებდა შეპირებული მასალის მიტანის სხვადასხვა ვადას, მაგრამ ხის მასალა არ მიუტანია.

2006 წლის ოქტომბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, რ. ვ-ი მივიდა გორის რაიონის სოფელ ... ნ. თ-თან და კვლავ მოსთხოვა 100 აშშ დოლარი იმ მიზეზით, რომ თითქოსდა მას „წითელ ხიდზე“ ჰყავდა ნათესავი და ჩამოუტანდა ქატოს სარეალიზაციოდ. ნ. თ-მა მას კვლავ გადასცა ეს თანხა, თუმცა რ. ვ-მა ისევ არ შეასრულა დანაპირები და კვლავ იგონებდა სხვადასხვა მიზეზს. იმავე წლის ოქტომბერში მან ისევ გამოართვა ნ. თ-ს 100 აშშ დოლარი, ვითომ „წითელ ხიდზე“ წასასვლელად და ვითარების გასარკვევად, ანუ შეპირებული ქატოს ჩამოსატანად, მაგრამ მან ქატო არ ჩამოიტანა და ზემოაღნიშნული თანხა თაღლითურად მიითვისა.

2006 წლის ოქტომბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, რ. ვ-ი კვლავ მივიდა ნ. თ-თან და მოტყუებით, თაღლითურად გამოართვა 50 აშშ დოლარი და თხევადი გაზის ერთი ცალი ცარიელი ბალონი, რომელიც თითქოსდა სჭირდებოდა ბიზნესის წარმოებისათვის და შეჰპირდა, რომ მოკლე დროში დაუბრუნებდა, მაგრამ კვლავ - უშედეგოდ. თავისი დანაშაულებრივი ქმედებით რ. ვ-მა ნ. თ-ს სულ მიაყენა 1100 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ვ-ს საბოლოოდ მიესაჯა 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3 ათასი ლარი. მას სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 19 იანვრიდან 16 თებერვლის ჩათვლით; გაუქმდა მსჯავრდებული-სათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო და დაყადაღებული ქონება - 2074 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი, მდებარე გორის რაიონის სოფელ - გირაოს თანხის ამოღების მიზნით აღსასრულებლად მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: რ. ვ-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; მას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 3 ნოემბრიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 18 იანვრიდან 16 თებერვლის ჩათვლით.

კასატორი - მსჯავრდებული რ. ვ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია არასრულად; სასამართლო დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; არსებობდა დარღვეული საქართველოს სსკ-ის მე-18, 127-ე, 132-ე, 496-ე, 498-ე და 503-ე მუხლების მოთხოვნები; სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მოწმეების - ე. ც-ის, ზ. ხ-ის, ა. თ-ისა და ი. ხ-ის ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მიღებს და რომელთა ჩვენებით, ისინი არავის ეკუთვნოდა და ასევე არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენდა; რ. ვ-ს ეს მიღები მიჰყიდეს ე. ც-ემ და ზ. ხ-მა; გორის რაიონის საკრებულოს დეპუტატ ი. ხ-ის ჩვენებით კი ეს მიღები მისი სოფელ ... საკრებულოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში არავის ეკუთვნოდა, იყო ამორტიზებული და გამოუყენებელი.

კასატორის აზრით, განაჩენი დაუსაბუთებელია თაღლითობის ნაწილშიც, რადგან რ. ვ-სა და ნ. თ-ს ჰქონდათ ახლო ურთიერთობა; მსჯავრდებულმა მას რაღაც თანხა მართლაც გამოართვა სესხის სახით, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ დაუბრუნა. ვინაიდან მათ შორის ურთიერთობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ნ. თ-ს ჰქონდა მოტივი, რათა რ. ვ-ი „თაღლითობაში“ ემხილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ეყრდნობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია.

კასატორის მტკიცების საპირისპიროდ, მოწმე ი. ხ-ი თავის არცერთ ჩვენებაში მიუთითებს, რომ სარწყავი მილები არავის ეკუთვნოდა, იყო ამორტიზებული და ღირებულს არ წარმოადგენდა, პირიქით, იგი აღნიშნავს, რომ საკრებულოს თავმჯდომარე დ. შ-ის გაფრთხილების მიხედვად, რომ პასუხს აგებდნენ კანონის შესაბამისად, მილები მაინც წაიღეს.

ანალოგიური ჩვენება მისცა დ. შ-მა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად გაფრთხილებისა, რ. ვ-მა მილები წაიღო, ხოლო დ. შ-ს მოგვიანებით უთხრა: "მიღების ამოყრა ფული დამიჯდა და ვისთვის დამეტოვებინაო".

ზ. ხ-ისა და ე. ც-ის ჩვენებებიდან გამომდინარე, ისინი რ. ვ-მა მოატყუა, უთხრა, რომ ჰქონდა მიღების წაღების უფლება და მიუხედავად საკრებულოს თავმჯდომარის გაფრთხილებისა, რ. ვ-მა მილები მაინც წაიღო ღამით.

რაც შეეხება ა. თ-ეს, არც მას განუცხადებია, რომ მილები უვარგისი იყო, პირიქით, ამ მიღების მიწიდან ამოღების სანაცვლოდ მისთვის რ. ვ-ს დაახლოებით 150 ლარი უნდა გადაეხადა.

ამასთან საგულისხმოა, რომ თავად მსჯავრდებულის ჩვენებით, მან არაერთ სახელმწიფო ორგანოს მიმართა, რათა "ამორტიზებული და გამოუყენებელი" მიღების ყიდვის ნებართვა მიეღო, მაგრამ უარი უთხრეს. ამის მიუხედავად, მან სხვა პირთან ერთად მილები ჩაიტანა სოფელ ... და მათი რეალიზაციის შედეგად მიიღო 160 ლარი. რ. ვ-ი ასევე მიუთითებს, რომ მიღების მიწიდან ამოღების შესახებ არ ჰქონდა რომელიმე უწყების ნებართვა და მილები მას არ ეკუთვნოდა.



რაც შეეხება სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებას, ამ ნაწილშიც სააპელაციო პალატამ ამომწურავად იმსჯელა და მსჯავრდებულის ქმედება სამართლებრივად სწორად შეაფასა. აღსანიშნავია, რომ რ. ვ-ის განმარტებით, თანხას მხოლოდ სესხის სახით იღებდა, მაგრამ იმავე ჩვენებით, მას დაზარალებულმა 200 აშშ დოლარი გადასცა სარემონტო სამუშაოებისათვის მასალის შესაძენად.

ამასთან, რ. ვ-ის მიმართ გირაოს სახით შეტანილი უძრავი ნივთის სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას სააპელაციო პალატამ დაარღვია სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გირაოს შეტანამდე მისი შემტანი პირების გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ რ. ვ-ის გამომძიებელთან ან სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სახელმწიფოს გადაეცემოდა გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება.

მართალია, ბინაზე შემოწმების ოქმის მიხედვით, უძრავი ქონების ერთ-ერთ თანამესაკუთრეს განემარტა გირაოსთან დაკავშირებული პირობისა და ვალდებულების შესახებ, მაგრამ ეს ოქმი შედგენილია გირაოს შეტანიდან დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის გამო გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება გირაოს სახით შეტანილი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ და ამ ქონებას უნდა მოეხსნას ყადაღა.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია, ხოლო დანიშნული სასჯელი - სამართლიანი, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ განაჩენში არასწორადაა მითითებული მსჯავრდებულის სახელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-10 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ რ. ვ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება რ. ვ-ისათვის შეფარდებული გირაოს თანხის ამოსაღებად 2074 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ, ხოლო ამ უძრავ ქონებაზე დადებული ყადაღა - გაუქმდეს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **8. ყადაღა**

#### **განჩინება**

#150-აპ-10

6 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- გ. შავლიაშვილი,**
- პ. სილაგაძე**

უკვირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ო-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ რ. თ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის განაჩენით მ. ო-ი დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

გურჯაანის რაიონის სოფელ ... მცხოვრებმა მ. ო-მა შვილთან - ზ. ო-თან ერთად განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ფულადი თანხის დაუფლება, კერძოდ: 2003 წლის ივნისში ზ. ო-ი დროებით საცხოვრებლად იმყოფებოდა რუსთავში, მე-19 მ\რ-ნის #-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნოდა მამამისს - აწ გარდაცვლილ ა. ო-ს. ზ. ო-მა დედასთან შეთანხმებით სამეზობლოში გაავრცელა ხმა, რომ ყიდდა ამ ბინას. აღნიშნულით დაინტერესდა იმავე მიკრორაიონის მე-13 კორპუსში მცხოვრები კ. ფ-ი, რომელსაც ზ. ო-მა განუმარტა, რომ ბინა ოჯახის საკუთრება იყო და დედასთან შეთანხმებით ყიდდა 2000 აშშ დოლარად, მამის გარდაცვალების ფაქტი კი დაუმალა. მან მოახერხა კ. ფ-ის ნდობის მოპოვება და წინასწარ ნაწილ-ნაწილ გამოართვა 600 აშშ დოლარი, ხოლო დაუდგენელი პირისაგან 100 დოლარად შეიძინა ყალბი სანოტარო აქტი, რომელშიც დაფიქსირებული იყო გარდაცვლილი ა. ო-ის ნება ბინის მინდობილობით გადაცემის თაობაზე. მინდობილობა, რომელიც კ. ფ-ს მუდმივად აძლევდა ბინის სარგებლობა-განკარგვის უფლებას, მ. ო-მა შვილთან ერთად გადასცა მას, რომელმაც დარჩენილი 1500 აშშ დოლარი ნათესავების - ა-ების ოჯახში გადაუხადა დედა-შვილს. აღნიშნულის შემდეგ, 2006 წლის 16 ივნისს, მ. ო-ის განცხადების საფუძველზე, გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელმა მემკვიდრეობით მიიღო ზემომითითებული ბინა, რომელიც იმავე წლის 3 ივლისს დაარეგისტრირა საჯარო რეესტრის რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში და 2007 წლის მარტში განცხადებით მიმართა შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს კ. ფ-ისა და მისი ოჯახის ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულ კ. ფ-ს მიადგა 2100 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მ. ო-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 3 ათასი ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა რ. თ-ემ. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და მ. ო-ის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის განაჩენი შეიცვალა: მ. ო-ს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 20 მაისიდან.

კასატორები - მსჯავრდებული მ. ო-ი და ადვოკატი რ. თ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი არ პასუხობს საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მოთხოვნებს და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენი არ არის კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, ვინაიდან არ ემყარება სასამართლოს სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; სასამართლო ყოველგვარი კრიტიკის გარეშე დაეყრდნო მხოლოდ დაინტერესებული პირების - კ. ფ-ისა და მისი ახლო ნათესავების - ზ. ფ-ის, ა. და ე. ა-ების ჩვენებებს და საერთოდ არ გაიზიარა ზ. და მ. ო-ების ბევრად უფრო ობიექტური ჩვენებები; მ. ო-ს წინასწარი განზრახვით, თაღლითურად რომ არ სურდა კ. ფ-ის თანხის მითვისება და ასეთი რამ არც ჩაუდენია, იქიდანაც ჩანს, რომ ყველა დაკითხულმა პირმა განაცხადა, რომ მან გამოთქვა უკმაყოფილება შვილის მიმართ მისი ნებართვის გარეშე ბინის გაყიდვის ფაქტთან დაკავშირებით და ეჩხუბა მას, ასევე მოსთხოვა კ. ფ-ს თანხის დამატება, ხოლო უარის მიღების შემდეგ არაერთხელ მოუწოდა შვილს ბეს სახით აღებული თანხის დაბრუნება. ზ. ო-მა არ შეასრულა დედის მოთხოვნა და მისი ნებართვის გარეშე გაყიდა ბინა, აღებული თანხა კი თვითონ დახარჯა. ასეთ შემთხვევაში მ. ო-ს, როგორც ბინის მესაკუთრეს, სრული უფლება ჰქონდა, არ გადაეფორმებინა ბინა კ. ფ-ისათვის, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მან თაღლითობა ჩაიდინა. მ. ო-მა არაფერი იცოდა ყალბი მინდობილობის დამზადების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მან გაიგო მხოლოდ შვილის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, რაც დაადასტურა ზ. ო-მაც, რომელმაც სასამართლო სხდომაზე ასევე აჩვენა, რომ მას შემდეგ, რაც დედამისმა უარი განაცხადა ბინის გადაფორმებაზე, ყალბი მინდობილობა თავად კ. ფ-მა მიუტანა მას ზ. ფ-თან ერთად, რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია. დაზარალებული კ. ფ-ი არის იურისტი და კარგად უნდა სცოდნოდა, რომ, თუკი ბინის ღირებულება მთლიანად გადაიხადა, მაშინ მინდობილობა რაში სჭირდებოდა და რატომ არ გადაიფორმა ბინა წლების განმავლობაში. დაზარალებულს ასევე კარგად უნდა სცოდნოდა, რომ მხარეთა დასწრების გარეშე ნოტარიუსი მინდობილობას არ გასცემდა; რატომ არ მოითხოვა მან მინდობილობა ზ. ან მ. ო-ებისაგან და

რატომ ერთხელაც არ დაინტერესდა მისთვის უცხო პირით, ვისი სახელითაც იყო მინდობილობა შევსებული; აღსანიშნავია ისიც, რომ ო-ები და დაზარალებული ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ და ისინი, როგორც მეზობლები, ოჯახებით კარგად იცნობდნენ ერთმანეთს; ასეთ შემთხვევაში კი დგინდება, რომ თავად კ. ფ-ია თაღლითი და ცდილობს მ. ო-ის ბინის მითვისებას.

კასატორთა აზრით, რადგან იმ პერიოდში დაზარალებული გამომძიებლად მუშაობდა, წინასწარი გამომძიება და სასამართლო, მისი ინტერესების დაცვით, ძალზე არაობიექტურად მოიქცა, რაც იმითაც დასტურდება, რომ პროკურორმა მოითხოვა მ. ო-ისათვის სასჯელის ზომად 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) საჩქცია ითვალისწინებდა 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას, სასამართლომ კი მიუსაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3 ათასი ლარი, მაშინ, როდესაც მსჯავრდებული 56 წლის ხანდაზმული, ავადმყოფი ქალბატონია და პირველად სასამართლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული და ადვოკატი რ. თ-ე ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მ. ო-ის გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორთა მტკიცების საპირისპიროდ, დაზარალებული და მოწმეები თავიანთ ჩვენებებში მიუთითებენ, რომ ბინის საფასური გადაეცა მსჯავრდებულსა და მის შვილს. გარდა ამისა, ბინის გაყიდვასთან და მის საფასურთან დაკავშირებით მ. ო-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს. საგულისხმოა, რომ მ. ო-მა ბინის გაყიდვიდან თითქმის ოთხი წლის შემდეგ მიმართა პოლიციას კ. ფ-ისა და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები გამოკვლეული და შეფასებულია სრულად და ობიექტურად, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

ამასთან, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს არ გადაუწყვეტიათ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების საკითხი, კერძოდ, საქმის წინასწარი გამომძიებისას დაზარალებულის მიერ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად მ. ო-ის სახელზე რიცხულ ბინას ყადაღა დაედო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო სარჩელი იმ მოტივით, რომ მ. ო-ისა და ზ. ო-ის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება სხვა განაჩენით დაკისრებული ჰქონდა ზ. ო-ს. აღნიშნულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში აღარ არსებობს ყადაღის შენარჩუნების საფუძველი და იგი უნდა გაუქმდეს.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. აღსანიშნავია, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა სასჯელი და მას განსაზღვრული აქვს არა 5 წლით და 6 თვით, როგორც კასატორები მიუთითებენ, არამედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 199-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ მ. ო-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ რ. თ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს: მ. ო-ის სახელზე რეგისტრირებულ საცხოვრებელ ბინაზე დადებული ყადაღა გაუქმდეს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 9. ექსპერტიზის ობიექტი

### განჩინება

#44-აპ-10

11 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. მ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ რ. პ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 სექტემბრის განაჩენით კ. მ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დაზარალებულთან შერიგების გამო; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა და ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 11 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგ, კ. მ-ემ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2009 წლის 20 მაისს ნარკოლოგიური შემოწმებისას. მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ერთ პაკეტად დაფასოებული, დიდი ოდენობით – 0,787 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რასაც უკანონოდ ინახავდა და რაც 2009 წლის 20 მაისს ამოიღეს მისი პირადი ჩხრევისას.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. მ-ეს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5 ათასი ლარი; მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში ჩამოთვლილი უფლებები. მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2009 წლის 20 მაისიდან. კ. მ-ის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხა – 2 ათასი ლარი – გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა რ. პ-ემ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და კ. მ-ის გამართლება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსმა ზ. ფ-ემ შესაგებლად ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: კ. მ-ეს 2009 წლის 20 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახევრდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 6 თვე და ამ მუხლით განესაზღვრა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მას საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 3 თვის ვადით და ჯარიმა – 5 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორები – მსჯავრდებული და მისი ადვოკატი რ. პ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა მოწმეთა მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, კერძოდ: მოწმე ა. გ-ის ჩვენებები, რომელმაც ადვოკატთან გამოკითხვის დროს განაცხადა, რომ დაინახა, თუ როგორ დააგდო სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელმა თავის ხელთ არსებული ვერცხლისფერი ქაღალდი კ. მ-ის მიერ გახდილ წინდაზე; აღნიშნული ჩვენება მოწმემ გამომძიებელთან უარყო, მაგრამ მას უნდა გამოეწვია ეჭვი. ორივე ინსტანციის სასამართლომ იგნორირება გაუკეთა არსებით სამართლებრივ დარღვევებს, რასაც ადგილი ჰქონდა კ. მ-ის ეჭვმიტანილის სახით დაკავებისას; მას არ განუმარტეს დაცვისა და ჩხრევის დროს დამსწრეების მოწვევის უფლებები; გასაგები ფორმით არ შეატყობინეს, რომელი დანაშაულის ჩადენაში იყო ეჭვმიტანილი; არ აცნობეს, რომ ჰქონდა დამცველის ყოლის, დუმილის, კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და ა.შ.; ბათუმის საქალაქო სა-

სამართლოს მოსამართლემ მსჯავრდებულს დაურღვია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც იმაში გამოიხატა, რომ საქმე არ შეისწავლა, არც ერთი მოწმე არ დაკითხა და მხოლოდ კამათის სტადიაზე ჩაერთო საქმის განხილვაში ისე, რომ სათადარიგო მოსამართლევ არ ყოფილა; არ არსებობდა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი, რადგან მოწმეთა ჩვენებებით, დაკავებამდე კ. მ-ის მიმართ ხორციელდებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება; უხეშად დაირღვა სსსკ-ის 325-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან არ არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეჭვიტანილს ჰქონდა იარაღი ან ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა მისი მამბილბელი მტკიცებულება; უკანონო დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩხრეკის შესახებ, რომელიც უნდა გაუქმებულიყო სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, რაც არ შეაფასა სასამართლომ, დაარღვია კანონი და არ მიიღო სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება; დაკავების ოქმით არ დგინდება, სსსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის რომელი პუნქტის საფუძველზე დააკავეს კ. მ-ე; დადგენილება ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ გამოტანილია 21 მაისს, ანუ ერთი დღის დაგვიანებით და ეს დადგენილება ბათილი საპროცესო გადაწყვეტილებაა; დაუშვებელი მტკიცებულებაა ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რადგან ექსპერტიზის ობიექტია ნივთიერი მტკიცებულება; გამომძიებელმა ისე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რომ პროკურორის თანხმობა არ მიუღია; გარდა ამისა, კ. მ-ეს უფლება ჰქონდა, მიეღო და გასცნობოდა საქმის მასალებს, რაც სრულად არ ჩაჰბარდა; აქედან გამომდინარე, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით და მათ არანაირი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მითითებას მტკიცებულებათა კანონდარღვევით მოპოვების შესახებ, კერძოდ:

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, რომელზეც აპელირებენ კასატორები, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ქმედებებზე პროკურორი იძლევა წერილობით თანხმობას კანონით გათვალისწინებულ და არა - ყველა შემთხვევაში.

სსსკ-ის 261-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისას გამომძიებელი ვალდებულია, დაიწყოს წინასწარი გამოძიება, რის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით, წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. კასატორთა მტკიცების საპირისპიროდ, ოქმში აღნიშნულია დაკავების საფუძველები. მის ყველა გვერდს ხელს აწერს ეჭვიტანილი, რომელსაც პრეტენზია არ გამოუთქვამს. კ. მ-ეს განემარტა მისი, როგორც ეჭვიტანილის უფლებები, ასევე - დამსწრეთა და ადვოკატის მოწვევის უფლება, რაზეც უარი განაცხადა.

რაც შეეხება დაკავებისა და ჩხრეკის ფორმალურ და ფაქტობრივ საფუძველებს, პალატა განმარტავს, რომ ნარკოტიკული საშუალების შენახვა დენადი დანაშაულია და მისი ამოღება, ანუ ამ დანაშაულის შეწყვეტა დანაშაულის ჩადენისას წასწრებასა და, შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობაზე ნათლად მიუთითებს. თავისთავად ცხადია, მხოლოდ ეჭვიტანილის დაკავება მტკიცების საგნის ყველა გარემოების დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა და სწორედ ამიტომ, აუცილებელია ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით (მათ შორის - პირადი ჩხრეკით) როგორც დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა (ნარკოტიკის ამოღება), ისე იმ მტკიცებულების მოპოვება, რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნულ ამოცანებს ემსახურება 325-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” ქვეპუნქტიც, რომლის მიზანია არა მხოლოდ დანაშაულის აღკვეთა, არამედ მტკიცებულებათა მოპოვებაც. ორივე აღნიშნული ამოცანა ერთდროულად ხორციელდება პირადი ჩხრეკისას ამა თუ იმ საგნით დაფუძნებული რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დენადი დანაშაულის დროს (მათ შორის - ნარკოტიკის შენახვისას).

მოცემულ შემთხვევაში დაკავების ოქმში მითითებულია, თუ რა დანაშაულის ჩადენაში იყო ეჭვიტანილი კ. მ-ე და რომ მას წასწრეს დანაშაულის ჩადენისას. შესაბამისად, სახეზე იყო დაკავების სსსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

ამრიგად, გარდა იმისა, რომ არსებობდა კ. მ-ის პირადი ჩხრეკის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველები, საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა კანონით დადგენილი მოთხოვნების დაც-

ვით. ამასთან, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, რომ რაიმე ფორმით შეიზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ამოღებული საგნები არ იყო ნივთმტკიცებად ცნობილი და, შესაბამისად, ექსპერტიზის ობიექტი არ იყო ნივთიერი მტკიცებულება, რაც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 360-ე მუხლის მოთხოვნებს.

პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულებაა საგანი, რომელიც თავისი თვისებებითა და ნიშნებით დაკავშირებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ჭეშმარიტების დადგენას. საგნის თვისებებისა და ნიშნების და, შესაბამისად, მისი კავშირის დადგენა საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია მხოლოდ საექსპერტო კვლევის შედეგებიდან გამომდინარე. სსსკ-ის 360-ე მუხლში მითითებული "ნივთიერი მტკიცებულება" არ გულისხმობს ყველა შემთხვევაში საგნის საპროცესო დამაგრებასაც. ამაზე მეტყველებს კანონის სხვა მუხლებიც, კერძოდ, სსსკ-ის 127-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საპროცესო დამაგრება ხორციელდება მტკიცებულებათა და არა საგნების შეკრების შემდეგ. ამავე კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებათა შეკრება ხდება სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე და, ცხადია, რომ ამ დროს მათ საპროცესო დამაგრებაზე საუბარი ნაადრევია. 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სპეციალური დადგენილებით (განჩინებით) საქმეს უნდა დაერთოს ნივთიერი მტკიცებულება.

პალატა აღნიშნავს, რომ კ. მ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს.

მსჯავრდებულმა სააპელაციო სასამართლოს განუმარტა, რომ ნარკოტიკი ჩაუდეს სოდ-ის თანამშრომლებმა, რომელთა უმრავლესობას იცნობდა, მაგრამ ამის მიუხედავად ჩხრეკის ოქმს ხელი მოაწერა, რადგან აღნიშნულ პირებს იცნობდა და ენდო მათ. იგი პირველი ინსტანციის სასამართლოშიც აცხადებდა, რომ დაკავებისა და ჩხრეკის თაობაზე შენიშვნა არ გამოუთქვამს, მაგრამ ამავე ჩვენებით, ჩხრეკისას პროტესტი განაცხადა - რა ჩამიდევიტ, ჩემი არ არისო.

მსჯავრდებული სასამართლოში მიუთითებდა, რომ დაკავებისას ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით ექსპერტის დასკვნა იყო ყალბი, მაგრამ საქმის წინასწარი გამოძიების დაწყებიდან მის დამთავრებამდე კ. მ-ეს ან მის დამცველს აღნიშნულ ან სხვა გარემოებებთან დაკავშირებით არ განუცხადებიათ.

გარდა ამისა, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხულმა მოწმე ა. გ-ემაც არ დაადასტურა დაცვის მხარის მითითება ჩხრეკის კანონდარღვევით ჩატარების თაობაზე.

კასატორთა მტკიცების საპირისპიროდ, საქმეშია ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება სათადარიგო მოსამართლის დანიშვნის შესახებ და კანონი არც ამ შემთხვევაში დარღვეულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სასჯელის დანიშვნის ნაწილში - სამართლიანი და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, კ. მ-ის მიმართ გირაოს სახით შეტანილი 2 ათასი ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას სააპელაციო პალატამ დაარღვია სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანი პირის - კ. მ-ის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი თანხა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის გამო გირაოს შემტანს - კ. მ-ეს უნდა დაუბრუნდეს გირაოს თანხა - 2 ათასი ლარი.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენით არ გადაწყვეტილა ნივთმტკიცებად ცნობილი - კ. მ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონისა და სიმბარათის საკითხი, რაც უნდა დაზუსტდეს.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-10 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. მ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ რ. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება კ. მ-ის მიერ გირაოს სახით შეტანილი 2 000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ და აღნიშნული თანხა, კანონით დადგენილი წესით, დაუბრუნდეს მის შემტანს;

ნივთმტკიცება - მობილური ტელეფონი "ნოკია" და სიმზარათი - დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ოჯახის რომელიმე წევრს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

### განჩინება

#515-აპ-10

14 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ჟ-ის ადვოკატ ნ. ჩ-ას კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინებაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენით ს. ჟ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, ჯარიმა - 1000 ლარი.

ამავე განაჩენით ბ. გ-ი და ი. პ-ი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯათ 8-8 წლით და 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2008 წლის 14 აგვისტოდან.

განაჩენი კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. პ-მა, ხოლო ს. ჟ-ის დამცველს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით უარი ეთქვა განაჩენის გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

კასატორი - მსჯავრდებული ს. ჟ-ის ადვოკატი ნ. ჩ-ა ითხოვს სააპელაციო პალატის განაჩენის გასაჩივრების გაცენილი ვადის აღდგენას იმ მოტივით, რომ ა/წლის თებერვლის თვეში იყო 28 დღე, რამაც შეცდომაში შეიყვანა და ამის გამო დღეების გამოთვლით გასაჩივრების ერთთვიანი ვადა დარღვეულად არ მიიჩნის, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არ აქვს შესაბამისი რიცხვი, - ამ თვის ბოლო დღე-ღამეს.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი კერძოდ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოში ადვოკატი მიუთითებდა, რომ არ აპირებდნენ განაჩენის გასაჩივრებას, მაგრამ შეიტყვეს, რომ ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა შეიტანა საკასაციო საჩივარი და ამის შემდეგ გადაწყვიტეს თავადაც გაესაჩივრებინათ სასამართლოს გადაწყვეტილება. ამავ განმარტებით, 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენზე დაცვის მხარემ საკასაციო საჩივარი შეიტანა 11 მარტს.

სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საპატიო მიზეზით ვადის გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი ვერ მიუთითებს ვერც ერთ საპატიო მიზეზს, რაც შესაძლოა გასაჩივრების ვადის აღდგენის საფუძველი გამხდარიყო. იგი თავად აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არ აქვს შესაბამისი რიცხვი - ამ თვის ბოლო დღემდე, მაგრამ ამის მიუხედავად, შეცდომაში შეიყვანა თებერვლის თვის დღეების რაოდენობამ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ს. ჟ-ის ადვოკატ ნ. ჩ-ას კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.